უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 39

2019 წ. „09“ 10

ქ. თბილისი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 204555524) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 800-ით.

2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 ოქტომბრის №17 სხდომის ოქმი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

დანართი 1

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელიკვალიფიკაცია (კვალიფიკაციისკოდით)	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (მარკეტინგში 0202, მენეჯმენტში 0203, ფინანსებში 0204)	240	აკრედიტებული	30.11.2018, #175
2	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 0205/1120	240	აკრედიტებული	07.12.2018, #199
3	ჟურნალისტიკა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში, 0703	240	აკრედიტებული	07.12.2018, #198
4	ფსიქოლოგია	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში, 0707	240	აკრედიტებული	07.12.2018, #197
5	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში 020307	120	აკრედიტებული	18.01.2019, #17
6	საბანკო საქმე	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში, 020401	120	აკრედიტებული	18.01.2019, #16
7	მასობრივი კომუნიკაცია	ქართული	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში, 0703	120	აკრედიტებული	29.01.2019, #35

8	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი, 06	240	აკრედიტებული	22.10.2018, #136
9	კერძო სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში, 0603	120	აკრედიტებული	23.07.2019 #170
10	სისხლის სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში, 0604	120	აკრედიტებული	22.10.2018, #137